უნდა გამოვავლინოთ რუსთველის სიტყვის და აზრის მნიშვნელობა ევროპული ცივილიზაციის პროცესში.

ამ ეპოქის მსოფლშეგრძნების ერთი ძირითადი მონაპოვარი, სიახლე, რომელიც მან კაცობრიობის აზროვნების პროცესში შემოიტანა, არის ტოლერანტიზმი – შემწყნარებლობა, შემგუებლობა; რომელიც გამოიხატა როგორც რელიგიურ ურთიერთობებში, ასევე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ერთმანეთთან დამოკიდებულებაში და თვით სქესობრივი დიფერენცირების რადიკალიზმის შესუსტებაში. ეროვნული კულტურებიდან და ინტერესებიდან ზოგადსაკაცობრიო კულტურისა და იდეებისაკენ სწრაფვა შუასაუკუნეების აზროვნებაში XII საუკუნისეული სიახლეა. ის, რაც ხდება ამდროინდელ საქართველოში (დავით აღმაშენებლის ქრისტიანული აღმსარებლობიდან ამოზრდილი რელიგიური ტოლერანტიზმი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს ინტერნაციონალური პოლიტიკა სომეხთა მიმართ, შირვანის სამთავროს მიმართ; ქალის გამეფება და მტკიცება ქალის თანასწორობისა მამაკაცთან), XII საუკუნის მთელი განვითარებული ქრისტიანული ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების სტილია. ესაა *ვეფხისტყაოსნის* სოციალური ატმოსფეროც: ქალი შეიძლება გამეფდეს; მოყმე ამაყობს თავისი ნაციონალობით („მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია“ – 287), მაგრამ ეს გარემოება არავითარი წინაღობა არ არის სხვა ეროვნების მოყმესთან მეგობრობისათვის (აქ იბადება დიდი პოეტური პირობითობა: გმირებს სამეტყველო ენა არ განასხვავებს). *ვეფხისტყაოსნის* ღრმა რელიგიური განცდა ქრისტიანობიდან ამოიზრდება, მაგრამ მასში თითქმის არაფერი რჩება მიუღებელი არაბი ავთანდილისა და ინდოელი ტარიელისათვის. (ეპოქის სქოლასტიკურ ტენდენციებთან ერთად ეს რელიგიური ტოლერანტიზმიც აძლევს რუსთველს ქრისტიანული დოგმატიკის სპეციფიკური პოსტულატების იმგვარი არხსენების იმპულსს, რომ შინაგანი რწმენისეული ხედვით მათი მოაზრებისათვის სრული შესაძლებლობა იყოს დატოვებული). და ყველაფერი ეს – ეს მსოფლშეგრძნება, ეს სააზროვნო ატმოსფერო, რაც XII საუკუნემ დაამკვიდრა – ადამიანისადმი ნდობამ, მისი გონებისადმი, მისი ემოციებისადმი ნდობამ მოიტანა. ესაა ის სიახლე, რაც გვიანდელი შუასაუკუნეების მსოფლშეგრძნებას მოაქვს და რაც, XIII საუკუნის II ნახევრის ევროპაში ერთგვარი კონსერვატული შემობრუნების შემდეგ, XIV საუკუნიდან ისევ დამკვიდრდება ქრისტიანული ცივილიზაციის პროცესში ჰუმანისტური ღირებულებების